ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1166750

ნომერი: AR1203149

თარიღი : 10.03.2014

გაცემის თარიღი : 13.03.2014

გაცნობის თარიღი : 13.03.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , N 14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსები ჟღენტი პ/ნ 01005006071
- თბილისი მცხეთის ქ. N 24 ბ. 3

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტორულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა "ფაილის მიმაგრება"-ს ველში ატვირთოთ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა საეკონსტრუქციო ფასადის მონიშვნით და გაითვალისწინოთ შემდეგი:

ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს წარმოდგენილი სახით სარეკლამო აბრების მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. წარმოდგენილი სახით ფასადი საკმაოდ გადატვირთული სახის მატარებელია და ჭრელი, საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრების მეტად მხატვრულ–ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, შენობის ფასადზე მათი განთავსების მეტად დახვეწილი კომპოზიციური გადაწყვეტა. ღიობებს შორის განთავსებულ აბრაზე მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოების განთავსება. ხოლო ფასადის კიდეში განთავსებული აბრის გაბარიტების შემცირება და სადა, ნაკლებად ინტენსიურ ფერში გადაწყვეტა.

საჭიროა წარმოადგინოთ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით განახლებული ფოტომონტაჟი (გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით).

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.